ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის
მერიის ზედამხედველობის საქალაქო
სამსახური

KA010107129406716

№16/6948 **15** / იანვარი / **2016** წ.

შპს სამშენებლო კომპანია დარიუს ჯგუფი.

საქართველო, ქ. თბილისის, ძველი თბილისის
რაიონში, დ. აღმაშენებლის გამზ., №171, ბინა 16

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში შემოსული თქვენი N124682/07 წერილის პასუხად სამსახური გაძლევთ რეკომენდაციას „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის შესაბამისად ამავე კოდექსის 45-ე მუხლით გათვალისწინებული სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად 120 კალენდარული დღის ვადაში გამოასწოროთ (წარმოადგინოთ კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და ახალი მშენებობის ნებართვა) 02.09.2014წ. N1459279 ბრძანებით შეთანხმებული პროექტიდან გადახვევით ქ. თბილისში, სექტორი–საბურთალო, მიცკევიჩის ქუჩა #56–ში თქვენი დაკვეთით მიმდინარე მშენებლობაზე შემდეგი დარღვევის გათვალისწინებით:

მონოლითური კედლები არ არის აღნიშნული სრულად განსხვავებული დაფერვით. ნაწილობრივ გაუქმებულია დიაფრაგმები, ხოლო მათ ნაწილში მოწყობილია ღიობები. „2–3“ მონაკვეთში „3–3“ ღერძზე არ არის მოწყობილი ხილვადობის შემზღუდავი კედლები (ვიზუალური ბარიერი). აღნიშნულთან ადგილთან მდებარე კედლის სისქე შემცირებულია ხოლო მასზე მდებარე ღიობებს მონაცვლებული აქვს ადგილი. +9.00 ნიშნულიდან შემცირებულია კოლონების კვეთი.

ფასადები: ფასადები ნაწილობრივ მოპირკეთებულია ბეტოპანის ფილებით. წყალშემკრები მილები ნაწილობრივ გაუქმებულია და მონაცვლებული აქვთ ადგილები.

გეგმა –2.70 ნიშნულზე: შეცვლილია სართულის სიმაღლე. ორი დონის ნაცვლად მოწყობილია ერთი. „2–3“ მონაკვეთში გაუქმებულია პანდუსი. „ა'–ა'“ ღეძზე საპროექტო კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი, რის ხარჯზეც გაზრდილია ფართი (დაახლოებით $39მ^2$–ით). „1–2“ მონაკვეთში მდებარე საპროექტო პანდუსის სიგანე და დახრის კუთხე შემცირებულია. „დ–დ“ ღერძზე დამატებით მოწყობილია კოლონა და დაბალი მონოლითური კედელი.

გეგმა ±0.00 ნიშნულზე: გაზრდილია სართულის სიმაღლე. ანტრესოლს შეცვლილი აქვს ფორმა და ფართი გაზრდილია დაახლოებით $70მ^2$–ით. შემცირებულია მისი ნიშნულის დონე. „1–2“ მონაკვეთში დამატებით მოწყობილია ლითონის კოლონები. „ბ–გ“ მონაკვეთში გაუქმებულია კიბე. „1–2“ და „გ–დ“ მონაკვეთების გადაკვეთაზე მდებარე ფილის ღიობის სიგრძე გაზრდილია. „2–3“ მონაკვეთში კიბის ფორმა და საფეხურების რაოდენობა შეცვლილია.

გეგმა +5.70 ნიშნულზე: „ა–ა“ და „ზ–ზ“ ღერძებზე დამატებით მოწყობილია კაპიტალური კედლები.

გეგმა +9.00 ნიშნულიდან +25.50 ნიშნულის ჩ ათვლით: „1–2“ მონაკვეთში „ე–ე“ ღერძზე („1–1“ და „ე–ე“ ღერძების კვეთასთან) მდებარე კედელს მონაცვლებული აქვს ადგილი.

გეგმა +32.10 ნიშნულზე: გაუქმებულია ტერასა. „2–2“ ღერძზე „დ–ე“ მონაკვეთში ღიობი შევსებულია კედლით. დამატებით მოწყობილია პარაპეტი და სავენტილაციო შახტები. შემცირებულია ლიფტის შახტის სიმაღლე.

გეგმა +35.40 ნიშნულზე: შეცვლილია გადახურვის ფილის ფორმა. წყალშემკრებ მილს მონაცვლებული აქვს ადგილი. „3–3“ ღერძზე დამატებულია რიგელი.

ობიექტზე არ არის სრულად უზრუნველყოფილი უსაფრთხოების ნორმები.

დამატებით განგიმარტავთ, რომ „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის კოდექსი“-ს 25^1-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად „რეკომენდაციის შესრულების ვადაში დამკვეთის მიმართ სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ დაიწყება”.

ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე

გიორგი გეჯაძე